ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის იურიდიული საქალაქო
სამსახურის საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობისა და ეფექტური
საჯარო მმართველობის მხარდაჭერის
განყოფილება

KA010198043150415

№17/86038

24 / დეკემბერი / 2015 წ.

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
(GRASS) ვიცე-დირექტორს ბ-ნ პაატა
გაფრინდაშვილს
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27

24 12 2015

თქვენი 2015 წლის 17 დეკემბრის №114795/11 (530) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2015 წლის აპრილიდან დაიწყო „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის" ქვეპროგრამა, რომლისთვისაც გამოყოფილი იქნა 610 000 (ექვსას ათი ათასი) ლარი. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სულ შემოვიდა 426 განცხადება, აქედან 335 განცხადება დაკმაყოფილდა, 48 განმცხადებელი(მოსარგებლე) აკმაყოფილებს აღნიშნული ქვეპროგრამისათვის დადგენილ კრიტერიუმებს და რეგისტრირებულია მომლოდინეთა სიაში. 2015 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ქვეპროგრამის ბენეფიციარები სულ დაფინანსდნენ 585 081 (ხუთას ოთხმოცდახუთი ათას ოთხმოცდაერთი) ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2015 წლის იანვრიდან დაიწყო „ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის" ქვეპროგრამა, რომლის ბიუჯეტს წარმოადგენს 1 750 399,98 (ერთი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათას სამას ოთხმოცდაცხრამეტი და ოთხმოცდათვრამეტი) ლარი. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სულ შემოვიდა 21 განცხადება, აქედან, 11 დაკმაყოფილდა. დღეის მდგომარეობით აღნიშნული ქვეპროგრამის ბენეფიციარები სულ დაფინანსდნენ 1 750 399,98 (ერთი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათას სამას ოთხმოცდაცხრამეტი და ოთხმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და
ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის
განყოფილების უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ნინო მელვინიშვილი